ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4602039

ნომერი: AR1694708

თარიღი : 21.07.2019

გაცემის თარიღი : 23.07.2019

გაცნობის თარიღი : 23.07.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა პეტრე იბერი , N 16;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ ჭელიძე პ/ნ 01010013134
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ V მ/რ კორ. 2 ბ. 18

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 16 მაისის №4500282 ბრძანებაში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 21

ივლისის NAR1694708 განცხადებით მომართა ნიკოლოზ ჭელიძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 16 მაისის №4500282 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 16 მაისის №4500282 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ქუჩა პეტრე იბერის N16 ში თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.10.06.001.234), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2019 წლის 16 მაისის №4500282 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საცხოვრებელი ფართობი 10850.6 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 10608.50 კვ.მ, კომერციული ფართობი 1131.9 კვ.მ-ის ნაცვლად 1369.7 კვ.მ, საერთო ფართობი 16282.0 კვ.მ-ის ნაცვლად 16292.8 კვ.მ. განმცადებლის მიერ ასევე წარმოდგენილია გასწორებული გეგმები.

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები შესწავლის შედეგად, სამსახურმა დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, -6,600 ნიშნულის გეგმაზე, N14 და N15 ბინები იცვლება კომერციულ ფართობად, რაც არ წარმოადგენს ტექნიკურ შეცდომას და ბრძანებაში ცვლილების შეტანის სამართლებრივ საფუძველს. შესაბამისად, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უარი ეთქვას განმცხადებელს 2019 წლის 21 ივლისის NAR1694708 განაცხადში მითითებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.